



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1650
15/03/2018

1650-09-2-201803151800



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ . /მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 295
15/03/2018

295-09-3-201803151748



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულისას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშხიას

განმარტებითი ბარათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N159 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთი „ტექ-სერვისისა“ /ს/ნ 433642490/ და ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ /ს/ნ 433642677/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში 2018 წლის დარჩენილ პერიოდისათვის ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს /ს/ნ 433649322/ დაფინანსება განისაზღვროს 901449 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N158 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ /ს/ნ 433642178/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433642203/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433645004/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი„ /ს/ნ 433642178/. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში

წლის დარჩენილ პერიოდისათვის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს დაფინანსება განისაზღვროს 494872 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 14 მარტის N187 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ს/ნ 233731478, რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ორი საწარმო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანება და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის მოწვეული იქნას რიგგარეშე სესია.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური